ხობის მოამბე

№3 (7062) 15 თებერვალი,
ორშაბათი, 2016 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

10 თებერვალს გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

შემოსავლები გაიზარდა 2422,5 ათასი ლარით.

მუხლიდან „გრანტები“, ნაშთი გაიზარდა 349,4 ათასი ლარით და საერთო ჯამში ნაშთმა შეადგინა 828,4 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ხობში

ქ.ხობში სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი და ზეთის მიმღები ქარხანა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის საჯარო პრეზენტაცია მოეწყო. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე კახა რუსია და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია უძღვებოდნენ. შეხვედრას, რომელიც კითხვა პასუხის რეჟიმში გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, სახელოვნებო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, შემოქმედებითი სექტორისა და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია შემუშავდა. მთავრობის დამტკიცებამდე დოკუმენტის სრულყოფის მიზნით, სამინისტრო აგრძელებს სამუშაო ვერსიის საჯარო პრეზენტაციების ციკლს თბილისსა და რეგიონებში, ასევე კონსულტაციებს კულტურის სფეროს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან, მთელი საქართველოს მასშტაბით.

კულტურის სტრატეგიის მიზანია, განსაზღვროს საქართველოში კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, რომელიც წარმოაჩენს როგორც კულტურის თანდაყოლილ ღირებულებას, ასევე, მის მნიშვნელობას ეროვნული იდენტობისა და სოციალური ერთობის განმტკიცებასა და ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

აქცია–„გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“

5 თებერვალს ქ. ხობში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით ლეიკემიით დაავადებული პაციენტებისთვის უანგარო დონორთა აქცია–„გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ გაიმართა.

უანგარო დონორთა აქციის ფარგლებში დახმარების მსურველებმა სისხლი მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებულ შპს „სისხლის ბანკის“ წარმომადგენლებს ჩააბარეს.

საქველმოქმედო აქციაში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა.

თქვენს მიერ გაღებული სისხლით შეგიძლიათ გადაარჩინოთ ბავშვების სიცოცხლე. 400 მგ. სისხლისგან, რომელსაც თქვენ აბარებთ, მზადდება სამი კომპონენტი. ესენია: ერითროციტული მასა, ახლად გაყინული პლაზმა და თრომბოციტული მასა.

სისხლის დონორობა უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის. დონორი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ჯანმრთელი ადამიანი 18 წლიდან 60 წლამდე, თუ თქვენი წონა 50 კგ და მეტია. სისხლის ჩაბარების პროცედურა ძალიან მარტივია, სულ რაღაც 10 წუთი და თქვენ უკვე დონორი ხართ. ამასთანავე აქციაში მონაწილე ყველა დონორს უფასოდ ჩაუტარდება შემდეგი კვლევები: სისხლის ჯგუფი და რეზუს ფაქტორი, სისხლის საერთო ანალიზი, აივ ინფექცია, ჰეპატიტი C, ჰეპატიტი B და სიფილისი.

„აბსოლუტურად ყველას მხრიდან, ვისაც კი შევხვდით, უდიდესი მხარდაჭერა იგრძნობა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მიუნხენში ვიზიტი შეაჯამა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველომ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ტრიბუნა მსოფლიო ლიდერებისთვის ქვეყნის დღის წესრიგის გასაცნობად გამოიყენა.

„მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია არის პლატფორმა, სადაც ქვეყნების ლიდერები ხვდებიან, საუბრობენ უსაფრთხოების სიტუაციაზე და არის ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ ქვეყნის დღის წესრიგი, თუ საით მივდივართ ჩვენ, რა გეგმები გვაქვს და რა პრობლემები გვაქვს, ინფორმაცია წარმოვადგინოთ საერთაშორისო პლატფორმაზე,“–აღნიშნა პრემიერმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, საქართველოს დელეგაციამ ვიზიტის ფარგლებში გამართა ორმხრივი შეხვედრები ევროპელ ლიდერებთან, რომელთაც საქართველოში მიმდინარე რეფორმები გააცნო. გამოითქვა საქართველოს ხელისუფლებისადმი სრული მხარდაჭერა.

„იგრძნობა უდიდესი მხარდაჭერა აბსოლუტურად ყველას მხრიდან, ვისაც კი ჩვენ შევხვდით. გარდა ოფიციალური შეხვედრებისა, ამ სივრცეში მოძრაობს ბევრი ლიდერი და გვქონდა სხვადასხვა ფორმატებში შეხვედრები. ყველა მხრიდან იგრძნობა უდიდესი მხარდაჭერა. ძალიან დადებითად აღიქვამენ ჩვენი მთავრობის რეფორმების დღის წესრიგს და გამოთქვეს სურვილი, რომ მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოგვიჩინონ. ასევე, ჩვენ, რა თქმა უნდა, გამოვიყენეთ ეს პლატფორმა იმისთვის, რომ წარმოგვეჩინა საქართველოს უსაფრთხოების კუთხით ჩვენი პრობლემები ოკუპაციასთან მიმართებაში“,–განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა ასევე მნიშვნელოვანი უწოდა საქართველოს მონაწილეობას კონფერენციის თემატურ პანელზე, სადაც წარმოდგენილი იყო ბალკანეთის ოთხი ქვეყანა, რომელთაგან ორი ევროკავშირის წევრია.

მისივე თქმით, პანელის მოდერატორი იყო ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი და თვითონ ფაქტი, რომ საქართველოს უკვე განიხილავენ

ამ ქვეყნების რიგში, არის ძალიან დადებითი.

მიუნხენის ვიზიტის შეფასებისას, პრემიერმა ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატების შესრულებას, რაც მისი გამოსვლის მთავარი თემა იყო.

„ჩვენ ძალიან გვჭირდება ახლა საზოგადოების კონსოლიდაცია ევროპული და ევროატლანტიკური დღის წესრიგის გარშემო. ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს ყველაზე მოკლევადიანი მიღწევა, რაც ჩვენ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ეს არის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც ჩვენ უკვე შევასრულეთ. დადებითი ტექნიკური დასკვნა უკვე არსებობს და აქ უკვე საჭიროა პოლიტიკური მხარდაჭერის კონსოლიდაცია. სწორედ ამას ემსახურებოდა ჩემი განცხადება პანელზე, რომ არავითარ შემთხვევაში ეს საკითხი არ იყოს ასოცირებული მიგრანტების პრობლემასთან და სხვადასხვა უსაფრთხოების კუთხით გაუარესებულ სიტუაციასთან, რომელიც დღეს რეგიონში გვაქვს. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ გავაკეთოთ ჩვენი მხარდამჭერების კონსოლიდაცია იმისათვის, რომ საბოლოო შედეგი დაიდოს ამ კუთხით“,–აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე კომენტარი გააკეთა ჰაგის პროკურორ ფატუ ბენსუდასთან გამართულ შეხვედრაზე. მისი თქმით, ეს იყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, სადაც საუბარი შეეხო 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების საკითხებს და ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დააყენა ეთიკური წმენდის, სამხედრო ტყვეების წამების და სხვა დანაშაულებათა გამოძიების აუცილებლობის საკითხი.

„EIB“ საქართველოს, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის, 150 მილიონამდე ევროს გამოუყოფს



ევროპის საინვესტიციო ბანკი, საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის, 150 მილიონამდე ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსს გამოუყოფს.

აღნიშნულის შესახებ ფინანსური ხელშეკრულებები მთავრობის ადმინისტრაციაში გაფორმდა.

დოკუმენტებს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ლაზლო ბარანიაიმ მოაწერეს ხელი. ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო.

ევროპის საინვესტიციო ბანკი საქართველოს 100 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსს გამოუყოფს „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტის“ დასაფინანსებლად, რომლის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდება მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტები - გზების, ქუჩების, წყალსადენის, კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია; განვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა. თბილისში წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურა აღდგება. 49.45 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსს კი, საქართველო „საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი II“ პროექტის –ზემო ოსიაური–ჩუმათელეთის მონაკვეთის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის დასაფინანსებლად მიიღებს.

როგორც „პირWელს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, ხელმოწერის ცერემონიამდე ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდა.

გიორგი კვირიკაშვილმა ლაზლო ბარანიაის საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ევროპის საინვესტიციო ბანკთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

შეხვედრას ევროკავშირის ელჩი საქართველოში, იანოშ ჰერმანი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი დაესწრნენ.

ამერიკის მთავრობა საქართველოს ხელისუფლებას სრულ მხარდაჭერას უცხადებს

აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველის ევროპის საკითხებში, ჩარლზ კუპჩანის განცხადებით, ამერიკის მთავრობა საქართველოს ხელისუფლებას სრულ მხარდაჭრას უცხადებს.

ამის შესახებ ჩარლზ კუპჩანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას განაცხადა.

შეხვედრის მთავარი თემა საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული და მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები იყო. ხაზი გაესვა, რეფორმირების პროცესში, აშშ-ის დახმარების მნიშვნელობას.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ღირებულებებსა და საერთო ინტერესებს, მათ შორის, კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების განვითარების თვალსაზრისით.

საუბარი შეეხო საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზა ლიბერალიზაციის საკითხებს. მხარეებმა განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დინამიკა.

დავით საგანელიძე: ჩვენი დაპირება იყო წამლების გაიაფება და ეს პროცესი დაიწყო

საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის სიახლეებზე „საპარტნიორო ფონდის“ ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ „ბიზნეს კურიერის“ გადაცემაში ისაუბრა.

საგანელიძის განცხადებით, ფართო მოხმარების პრეპარატების მნიშვნელოვან სეგმენტზე ფასებმა მნიშვნელოვნად დაიკლო და ეს ბაზარზე ჰუმანითი ჯორჯიას შემოსვლას უკავშირდება. როცა მედიკამენტები დაიდო ბაზაში იმ ფასებით, რა ფასებითაც ისინი გამოვა ბაზარზე, ბუნებრივია, მის ანალოგებზე ფასები დაიწევს. შესაბამისად, კომპანიებმა ანალოგების დაბალ ფასებში გაყიდვა დაიწყეს. ეს ელემენტარული ეკონომიკა და ბიზნესია.

ფაქტია, შედეგი უკვე გვაქვს, ყოველ წუთში მოგვდის მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომ წამლები გაიაფდა. გასათვალიწინებელია ისიც, რომ საქართველოში შენდება ფარმაცევტული ქარხანა, რომელიც, ადგილობრივ ბაზარზე გაანახევრებს ფასებს და ექსპორტზეც გავა. პირველ ეტაპზე, ვიდრე ქარხანა აშენდება, იქნება 30 პროცენტიანი კლება. ჩვენი დაპირება იყო, რომ წამლებს გავაიაფებდით და ეს პროცესი დაიწყო,“ - აღნიშნა დავით საგანელიძემ.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ავთანდილ ქირია–გამგებლის წარმომადგენელი ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულში

პიერ და ბადრი კობახიძეების სახლ-მუზეუმი

„მეტი შემართება და ძალების მობილიზება გვმართებს“

განვლილ წელს ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს სოფელში. მინდა მომავალი წელი უფრო წარმატებული იყოს ხამისქურელთათვის. 2015 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულს მთავრობისგან 44375 ლარი გამოეყო. სოფლის საერთო კრების გადაწყვეტილებით გადაწყდა, გამოყოფილი თანხა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებას–საბავშვო ბაღს მოხმარებოდა. არსებულ საბავშვო ბაღს მიუშენდა 50 კვადრატული მეტრის თანამედროვე ტიპის კეთილმოწყობილი შენობა, რაც დროულად და ხარისხიანად განხორციელდა. ასევე, კეთილმოეწყო ბაღის ეზო. დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობრუნებული თანხაც, ასევე მოხმარდა საბავშვო ბაღს.

შეძენილიქნა 4 სასწავლო კარადა. 34 აღსაზრდელისთვის კეთილმოეწყო საძინებელი ოთახი და მოიხსნა ბავშვების დაძინების პრობლემა. მათ შეექმნათ კომფორტული გარემო. სოფლის მოსახლეობა, ბავშვებზე ასეთი მზრუნველებისთვის, ხელისუფლებას მიმართ მადლიერებას გამოხატავს.

ადგილობრივი ხელისუფლების შუამდგომლობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურმა არასამთავრობო გერმანულმა ორგანიზაციამ, ჩვენი საბავშვო ბაღისთვის კიდევ ერთი სასიკეთო საქმე გააკეთა. გამოცვლილიქნა და გაკეთდა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები. ასევე პანო და პანდუსი. მათ მიერ გარემონტდა ჯგუფის ერთი ოთახი.

ციხე-სიმაგრე „ჯიხა“

გასულ წელს, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანადგომით, სოფლის უმწეო ადამიანებს–ფაშა კუკავას 5 სულიან ოჯახს, სახლი თანამედროვე ტიპის სახურავით გადაუხურეს. ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებითა და დახმარებით, მზიური პერტიას გამოუწოდეს დახმარების ხელი და აუშენდა 50 კვ.მეტრის მოცულობის საცხოვრებელი სახლი. ასევე ხელისუფლების დაფინანსებით 50 კვ/მ საცხოვრებელი სახლი აუშენდა დარეჯან კუკავას უმწეო ოჯახს. ეს ხომ უმწეო ადამიანების მიმართ უდიდესი თანადგომა და ამავდროულად უდიდესი მხარდაჭერა და ზრუნვაა მათ კეთილდღეობაზე.

ხამისქურში ხუთი წელია მუშაობს სრულიად თემთა განვითარების არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვან საქმეებს ეწევა. გასულ წელს მათ მიერ ერთ-ერთ ოჯახში გაკეთდა ბიო-გაზი. სამ ოჯახსა და დაფნის ერთ საწარმოს გაუკეთდა მზის ენერგიით წყლის გამათბობელი. გასულ წელს სოფელში დასრულდა სასმელი წყლის ორი სათავე ნაგებობის მშენებლობა. დამატებით გაკეთდა წყლის სათავე ნაგებობა, საიდანაც წყალი სკოლას, ბაღსა და 110 ოჯახს მიეწოდება. საქირიოს თემშიც დამონტაჟდა ასევე სასმელი წყლის სათავე ნაგებობა და წყლის რეზერვუარი, საიდანაც წყალი ეკლესიას და 10 ოჯახს მიეწოდება.

სოფელში ფუნქციონირებს დაფნის 3 საწარმო, სადაც დასაქმებულია ადგილობრივი მცხოვრებლები. ეს საწარმოები წარმოადგენენ მათი ოჯახების ფინანსურ წყაროს. სოფლის მცხოვრებლებს სხვაგან არ უწევთ დაფნის ჩასაბარებლად წასვლა. ისინი ადგილზე აბარებენ მას.

ჩვენ სოფელში ფუნქციონირებს სამედიცინო ამბულატორია, გვყავს ექიმი ინელა კუკავა, რომელიც უანგაროდ და კეთილსინდისიერად ემსახურება თითოეულ ოჯახს.

ღვთისმშობლის შობის ტაძარი

სოფელში ახალგაზრდების თავშეყრის ადგილია ბიბლიოთეკა (სპეციალისტი რიტა სიხარულია), სადაც თავისუფალ დროს ატარებენ ახალგაზრდები, ასევე წარმატებულად ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (დირექტორი ნანა ლომაია)

უკვე რამდენიმე წელია სოფლის მცხოვრებლები ხელისუფლების სიკეთით სარგებლობენ–საგაზაფხულო სამუშაოებისთვის ვაუჩერების მიღებით, რომლის საშუალებით უფასოდ ხდება ნიადაგის მოხვნა.

2016 წლის გაზაფხულზე მოსახლეობა კვლავ მიიღებს სასოფლო-სამეურნეო ბარათებს და უფასოდ მოხდება მიწის ფართობების მოხვნა.

2016 წლის თებერვლიდან ადგილობრივი ხელისუფლების შუამდგომლობით დაიწყება საყანე ფართობებში სამელიორაციო სამუშაოები. მარტის თვეში კი დაიწყება ელექტროგამრიცხველიანება, რაც ნამდვილად აუცილებელია და ხალხი დიდიხანია მის მოლოდინშია.

მრავალი პრიორიტეტული პრობლემა გადაიჭრა გასულ წელს, მაგრამ სოფელში პრობლემები ისევ ბევრია. იმედია, ხელისუფლების ნებით „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტითა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით და დახმარებით, ეს საკითხები დადებითად გადაიჭრება.

მიმდინარე წელი საარჩევნო წელია და მეტი შემართება და ძალების მობილიზება გვმართებს, რათა არჩევნები მაღალ დონეზე ჩატარდეს.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით კვლავ მრავალი პრიორიტეტული საკითხების გადაჭრას შევძლებთ.

ავთანდილ ქირია,
გამგებლის წარმომადგენელი ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ურთიერთობა საჯარო მოხელეებთან–კოლეგიალურია

ინტერვიუ მუნიციპალიტეტის გამგეობის აუდიტისა და კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელ მინდია ნაჭყებიასთან.

მცირე დოსიე: დაიბადა ხობის მუნიციპალიტეტში. ცხოვრობს სოფელ პირველ მაისში, ყავს მეუღლე სალომე ზარანდია, შვილი იოანე ნაჭყებია და დედა ლიანა ძიძავა. 2004 წელს დაამთავრა პირველი მაისის საჯარო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 2008 წელს მიანიჭეს ბაკალავრის ხარისხი, ამავე წელს ჩააბარა იგივე უნივერსიტეტის მაგისტრატურაზე. (ფაკულტეტი–იურიდიული, სპეციალობა–საჯარო სამართალი). 2010 წელს დაამთავრა მაგისტრატურა და მიენიჭა მაგისტრის წოდება. 2009 წელს სამსახური დაიწყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის საკოორდინაციო ცენტრის ზუგდიდის სამსახურის იურისტად, მთავარ სპეციალისტად, სადაც იმუშავა 2014 წლის აგვისტომდე. ასევე, პარალელურად მუშაობდა ზუგდიდში არასამთავრობო ორგანიზაციაში. არის არასამთავრობო ორგანიზაციის სათემო ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც ევროკავშირის ეგიდით ანხორციელებდა სხვადასხვა სახის პროექტებს. როგორც თავად ამბობს, ყოფილ სამსახურში მუშაობამ, უდიდესი გამოცდილება შესძინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე. 2014 წლის 25 აგვისტოს დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის აუდიტისა და კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელად.

ბატონო მინდია, შიდა აუდიტი და კონტროლის სამსახური, უფრო ვრცლად მოგვიყევით თქვენი სამსახურის შესახებ?

–ჩვენი სამსახური მოქმედებს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონით, კონსტიტუციით, ჩვენი სამსახურის დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით. დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ.

რა საჭიროა მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტის სამსახური და რა არის სამსახურის ფუნქციონირების ძირითადი მიზანი?

–სამსახურის ძირითადი მიზნებია, მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის თანხების ეფექტურ და რაციონალურად გახარჯვაში, ამ კუთხით გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე ჩვენი სამსახურის ფუნქციაა შეამოწმოს გამგეობის სამსახურები და გამგეობის მიერ დაფუძნებული შპს-ები და ა (ა)იპი-ები. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები. პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში დაეხმაროს შესაბამის სამსახურებს და დასახოს მათი გადაჭრის გეგმები.

როგორ იცავს შიდა აუდიტი დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას?

–დამოუკიდებლობა წარმოადგენს იმ შეზღუდვებისაგან თავისუფლებას, რომელიც საფრთხეს უქმნის შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტორული პასუხისმგებლობის მიუკერძოებლად შესრულების შესაძლებლობას. შიდა აუდიტის სუბიექტზე დაკისრებულ პასუხისმგებლობათა ეფექტიანად შესასრულებლად, აუცილებელი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს უნდა ჰქონდეს პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომა დაწესებულების ხელმძღვანელთან. ობიექტურობა წარმოადგენს მიუკერძოებელ დამოკიდებულებას, რაც შიდა აუდიტორებს შესაძლებლობას აძლევს განახორციელონ საქმიანობა ისე, რომ სჯეროდეთ თავისი საქმიანობის და არ დაუშვან ხარისხთან დაკავშირებული კომპრომისები. ობიექტურობა მოითხოვს, რომ შიდა აუდიტორებმა არ დაუქვემდებარონ აუდიტის საკითხებზე დაკავშირებული მსჯელობა სხვებს. დამოუკიდებლობასთან და ობიექტურობასთან დაკავშირებული საფრთხეები მართული უნდა იყოს თითოეული შიდა აუდიტორის, აუდიტორული შემოწმების, ფუნქცონალურ და ორგანიზაციულ დონეებზე. რომელიც ჩვენს შემთხვევაში სრულად არის დაცული.

როგორი უნდა იყოს ურთიერთობა შიდა აუდიტსა და საჯარო მოხელეებს შორის?

–შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური არის გამგეობის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული და ურთიერთობა საჯარო მოხელეებთან შესაბამისად გვაქვს კოლეგიალური.

ერთია როცა თქვენ ამოწმებთ საჯარო მოხელეებს და აძლევთ ამა თუ იმ შენიშვნებს, მაგრამ, თავად თქვენ როგორ გადაწყვეტილებას ღებულობთ როცა დაწესებულებებში არსებულ პრობლემებს აწყდებით?

–შენიშვნა არის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, რომლის გამოყენებაც შეუძლია იმ თანამდებობის პირს ან დაწესებულებას, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, რაც ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, ხოლო რაც შეეხება პრობლემის გადაწყვეტას ჩვენ გავცემთ რეკომენდაციებს რომელიც სასურველია იყოს გათვალისწინებული.

თქვენ,(სამსახურს ვგულისხმობ) უნდა დაიცვათ თუ არა საჯარო მოხელის ინტერესები? თუ კი მაშინ როგორ ახერხებთ ამას?

–შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური, სამსახურეობრივი გადაცდომის დროს ვალდებულია შეისწავლოს საკითხი და გამგებლის მიმართ გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები საკითხის გადასაწყვეტად, ანუ ჩვენს სამსახურს უფლება აქვს გამოარკვიოს ყველა ის საკითხი, რომელიც ეხება სამსახურეობრივ გადაცდომას.

რა სტანდარტებით ხელმძღვანელობენ შიდა აუდიტის პროფესიონალები მუშაობის დროს?

–საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის 1015 განკარგულება განსაზღვრავს შიდა აუდიტის სტანდარტებს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ორგანიზაციულ და ოპერაციულ სტანდარტებს.

როგორ ახდენს შიდა აუდიტის ფუნქცია, რესურსებზე პრიორიტეტების განსაზღვრას?

–ეფექტური პრიორიტეტების მინიჭება მოიცავს ორგანიზაციის რისკებზე პრიორიტეტებთან სინქრონიზებასა და რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას. შიდაუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის დროს. შიდა აუდიტის აღმასრულებელმა, ორგანიზაციულ ცვლილებებზე უწყვეტი ზედამხედველობის შედეგად, რომლებმაც შესაძლოა გეგმის ცვლილება გამოიწვიონ, იცის თუ როგორ შეიძლება არსებული შიდა აუდიტორული რესურსების ეფექტურად გამოყენება და გაანზრებული რეკომენდაციების გაწევა.

როგორც სამსახურის უფროსი როგორ შეაფასებდით გასული წლის მუშაობას, და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

–თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ 2015 წელს ფაქტიურად ახლად შექმნილ სამსახურს მოუწია შრომატევადი საქმიანობის განხორციელება, მართალია ადვილი არ არის, თუმცა აუდიტის ყველა თანამშრომლის მონდომებით და სამსახურების ხელშეწყობით წარმატებულად შევაფასებდი გასული წლის მუშაობას. რაც შეეხება მომავალ გეგმებს გამგებლის მიერ დამტკიცებულია 2016 წლის შემოწმების გეგმა, გამომდინარე აქედან გეგმის შესაბამისად უკვე აქტიურად მუშაობს შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური, ხოლო რაც შეეხება სამსახურეობრივი დისციპლინის დაცვას ამ კუთხით, ყოველდღიურად მუშაობს ჩვენი სამსახური, რათა გამოავლინოს გადაცდომები. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ გოჩა ქაჯაიას მონიჭებული უფლებამოსილებისთვის და ასევე იმისათვის, რომ გვიწყობს ხელს ჰარმონიულად, ორგანიზებულად და სამართლიანად განვახორციელოთ ჩვენი საქმიანობა.

ესაუბრა
ნინო გერგაია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

გუბერნატორისა და გარემოს დაცვის მინისტრის შეხვედრა მონადირეებთან

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ლევან შონია და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულია მონადირეთა კავშირის წევრებს შეხვდნენ და რეგიონში სანადირო მეურნეობის მოწყობაზე იმსჯელეს.

სანადიროდ სპეციალური ტერიტორიის მოძიების პროცესში მონადირეები თავად არიან ჩართულნი. მინისტრის მოადგილემ და გუბერნატორმა მონადირეებთან ერთად პირადად დაათვალიერეს ალტერნატიული ადგილები. სანადიროდ დასაშვები ტერიტორიის მოძიების შემდეგ კი სამინისტრო მონადირეებს დაეხმარება ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობაში. სანადირო მეურნეობის შექმნა, ხელს შეუწყობს გარემოზე ზიანის მიყენების შემცირებასა და უკანონო ნადირობის აღკვეთას.

აღნიშნული საკითხის გარდა შეხვედრაზე კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე უკანონოდ ნადირობის ფაქტებზეც ისაუბრეს. მინისტრის მოადგილის განმარტებით, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ნადირობაზე კონტროლი გამკაცრებულია.

გუბერნატორის და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის შეხვედრას მონადირეებთან, გუბერნატორის პირველი მოადგილე კობა ქანთარია ესწრებოდა.

ლევან შონია სადამკვირვებლო მისიის უფროსს შეხვდა

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი კიასტუტის იანკაუსკასი და მისიის რეგიონალურო ოფისის უფროსი გაბრიელ ვონ ჰორნი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს ლევან შონიას შეხვდნენ.

ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი რეგიონში არსებული მდგომარეობით და მიმდინარე პროექტებით დაინტერესდა. გუბერნატორმა ელჩს რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოები გააცნო.

კიასტუტის იანკაუსკასი კონფლიქტისპირა სოფელ რუხში სავაჭრო ცენტრის პროექტით დაინტერესდა და მის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია ლევან შონიასგან მიიღო. რუხში სავაჭრო ცენტრის მშენებლობა უკვე დასრულებულია და ის უახლოეს დღეებში გაიხსნება. გუბერნატორის განცხადებით სავაჭრო ცენტრი ხელს შეუწყობს ქართველი და აფხაზი ხალხის დაახლოებას. გუბერნატორმა მისიის ხელმძღვანელს გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში განხორციელებული პროექტები დეტალურად გააცნო.

ღია ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში

ქ. თბილისში ეროვნული ფედერაციის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ზამთრის ღია ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში. სადაც წარმატებით იასპარეზა და შედეგი გაიუმჯობესა განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის მოსწავლემ გრიგოლ ახალაიამ, მან 60 მ გარბენში მეორე ადგილი დაიკავა. (მწვრთნელ-მასწავლებელი ინდირა გრიგოლიანცი).

„მწვანე მომავალი“ გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესებაზე

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში „მწვანე მომავალის“ წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს. შეხვედრას გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია, გამგეობის სამსახურის უფროსები და სხვა დაინტერსებული პირები ესწრებოდნენ. მათ პროექტის ფარგლებში ქ. ხობისთვის შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტი, საბოლოო სახით გიორგი მუხიგულიშვილმა და ნინო ურიდიამ წარუდგინეს.

„მწვანე მომავალი“ ხობის მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სამთავრობო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა, ერთობლივი დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით ენერგეტიკული პოლიტიკის გაუმჯობესების სფეროში, მდგრად ენერგო–ალტერნატივებზე ფოკუსირებით“.

პროექტის მიზანია ხობის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესება და ახალი ენერგეტიკული პოტენციალის შექმნაზე ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემების გააქტიურების გზით და მათი ჩართულობით გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

შეხვედრა ფერმერებთან

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგრძელებს შეხვედრებს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგში პრიორიტეტულად განსაზღვრულ მიმართულებებში (მეფუტკრეობა, მეცხოველეობა (ხელოვნური განაყოფიერება), მეთხილეობა, ჩაი და სუბტროპიკული კულტურები, მემარცვლეობა) შერჩეულ წარმატებულ ფერმერთა ჯგუფებთან.

3 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, სამსახურის ოფისში გაიმართა შეხვედრა მეთხილე ფერმერებთან. საუბარი შეეხო თხილის გაშენების, მოვლა-მოყვანის, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის, მოსავლის აღება-შენახვის საკითხებს. მოეწყო ვიდეო რგოლების ჩვენება და დარიგდა შესაბამისი ბუკლეტები. ფერმერებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტებისა და პროგრამების შესახებ.

სამსახურმა დამსწრე ფერმერებს შესთავაზა მათ კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ნიადაგის უფასო ტესტირების ჩატარება. ანალოგიური გამოკვლევის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს უსასყიდლოდ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვა ფერმერების ნაკვეთებზეც. დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ სამსახურს: ქ. ხობი, ც. დადიანის 189, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ოთახი 303, ტელეფონი 595 858365

სპორტი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ბავშვთა და მოსწავლეთა ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით ატარებს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადას საჯარო სკოლებს შორის.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე...

2000–2002 წლებში დაბადებული გოგონები და ჭაბუკები ერთმანეთს სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეეჯიბრებიან. ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები მონაწილეობას მიიღებენ მინიფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, კროსში (გეზრბენი). შეჯიბრება ტარდება სამ ეტაპად: ადგილობრივი, რეგიონალური და რესპუბლიკური.

პირველ ეტაპზე ვლინდება სახეობების მიხედვით. მუნიციპალიტეტისა და ქალაქის გამარჯვებული გუნდები, ადმინისტრაციული ერთეულის სახელით რეგიონის პირველობაზე მიიღებენ მონაწილეობას.

მეორე ეტაპზე ვლინდება რეგიონის გამარჯვებული სკოლების გუნდები, რომლებიც რეგიონის სახელით ოლიმპიადის ფინალურ თამაშებზე გაემგზავრებიან.

მესამე ეტაპზე გაიმართება „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ ფინალური თამაშები,

სადაც გამოვლინდებიან ოლიმპიადის გამარჯვებული სკოლების გუნდები.

ხობის მუნიციპალიტეტში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მხარდამჭერი და ორგანიზატორებია: მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, ხობის განათლების რესურსცენტრი.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა გოდერძი ბუკიამ გამარჯვებული სკოლებისთვის პრიზები და თასები დააწესა, ასევე ფინანსურად უზრუნველყოფს გამარჯვებულების ტრანსპორტირებას რეგიონის პირველობაზე.

6–7 თებერვალს ქ. ხობში კულტურის სახლის ფოიეში სტარტი აიღო პირველმა ღონისძიებამ, რომელიც გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში. სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მუნიციპალიტეტის პირველობაზე გოგონათა შორის 5 და ჭაბუკთა შორის 12 გუნდი იღებდა მონაწილეობას. თითოეულ გუნდში ირიცხებოდა 4–4 მონაწილე, შეჯიბრება მეტად საინტერესოდ წარიმართა.

გოგონათა შორის მესამე ადგილი დაიკავა ჭალადიდის საჯარო სკოლის გუნდმა (დირექტორი ირმა ხარშილაძე, სპორტის მასწავლებელი პაატა ხვიჩია)

მეორე ადგილზე გავიდა ქვ. ქვალონის №1 საჯარო სკოლის გუნდი (დირექტორი ლუარა ყალიჩავა, სპორტის მასწავლებელი რომან მორგოშია).

მუნიციპალიტეტის ჩემპიონი გახდა და რეგიონის პირველობის საგზური მოიპოვა შუა ხორგის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა (დირექტორი გულნარა ტაბაღუა, სპორტის მასწავლებელი ანატოლ ჩარტია).

ჭაბუკთა შორის მესამე ადგილი დაიკავა ხობის №2 საჯარო სკოლის გუნდმა (დირექტორი ნანა ქვარაია, სპორტის მასწავლებელი პაატა ზარანდია).

მეორე ადგილზე გავიდა შუა ხორგის საჯარო სკოლის გუნდი (დირექტორი გულნარა ტაბაღუა, სპორტის მასწავლებელი ანატოლ ჩარტია).

პირველ ადგილზე გავიდა და ასევე რეგიონის პიველობის საგზური მოიპოვა ქვ. ქვალონის №1 საჯარო სკოლის გუნდმა (დირექტორი ლუარა ყალიჩავა, სპორტის მასწავლებელი რომან მორგოშია).

პრიზიორები და ჩემპიონები დააჯილდოვა საქართველოს პარლამენტის წევრის, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ გოდერძი ბუკიას ბიუროს უფროსმა ბატონმა რევაზ წულაიამ.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა როზეტა შულაიამ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა ქალბატონმა ნანა ბუკიამ.

დაჯილდოების შემდეგ მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ქალბატონ როზეტა შულაიამ და ბატონმა რევაზ წულაიამ, მათ წარმატებები უსურვეს გამარჯვებულ სკოლებს და აღუთქვეს ყველანაირი დახმარება რეგიონალურ შეჯიბრებაზე, რასაც ნორჩი სპორტსმენები ოვაციებით შეხვდნენ.

ბოლოს შეჯიბრების მონაწილეთა სახელით მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ გოდერძი ბუკიას, რომელიც ყოველთვის გვერდით უდგას მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენებს.

ლევან ლემონჯავა.

ფეხბურთი

პირველი ლიგის კალენდარი

2015-16 წ.წ. მეორე წრე

18 ტური

21 თებერვალი, კვირა
კოლხეთი–იმერეთი
ლიახვი-მერცხალი
ჭიათურა–მეშახტე
ალგეთი–გაგრა
ვიტ ჯორჯია–ჩხერიმელა
ოდიში–ბორჯომი
მაჭახელა–სქური
რუსთავი–ბეთლემი
სამგურალი–სამეგრელო

19 ტური

26 თებერვალი, პარასკევი
სამგურალი–კოლხეთი
სამეგრელო–რუსთავი
ბეთლემი–მაჭახელა
ოდიში–სქური
ბორჯომი–ვიტ ჯორჯია
ჩხერიმელა–ალგეთი
გაგრა–ჭიათურა
მეშახტე–ლიახვი
მერცხალი–იმერეთი

20 ტური

2 მარტი, ოთხშაბათი
კოლხეთი–მერცხალი
იმერეთი–მეშახტე
ლიახვი–გაგრა
ჭიათურა–ჩხერიმელა
ალგეთი–ბორჯომი
ვიტ ჯორჯია–სქური
ოდიში–ბეთლემი
მაჭახალა–სამეგრელო
რუსთავი–სამგურალი

21 ტური

10 მარტი, ხუთშაბათი
რუსთავი–კოლხეთი
სამგურალი–მაჭახელა
სამეგრელო–ოდიში
ბეთლემი–ვიტ ჯორჯია
სქური–ალგეთი
ბორჯომი–ჭიათურა
ჩხერიმელა–ლიახვი
გაგრა–იმერეთი
მეშახტე–მერცხალი

22 ტური

15 მარტი
კოლხეთი–მეშახტე
მერცხალი–გაგრა
იმერეთი–ჩხერიმალა
ლიახვი–ბორჯომი
ჭიათურა–სქური
ალგეთი–ბეთლემი
ვიტ ჯორჯია–სამეგრელო
ოდიში–სამგურალი
მაჭახელა–რუსთავი

23 ტური

20 მარტი, კვირა
მაჭახელა–კოლხეთი
რუსთავი–ოდიში
სამგურალი–ვიტ ჯორჯია
სამეგრელო–ალგეთი
ბეთლემი–ჭიათურა
სქური–ლიახვი
ბორჯომი–იმერეთი
ჩხერიმელა–მერცხალი
გაგრა–მეშახტე

24 ტური

24 მარტი, ხუთშაბათი
ვიტ ჯორჯია–რუსთავი
კოლხეთი–გაგრა
მეშახტე–ჩხერიმელა
მერცხალი–ბორჯომი
იმერეთი–სქური
ლიახვი–ბეთლემი
ჭიათურა–სამეგრელო
ალგეთი–სამგურალი
ოდიში–მაჭახელა

25 ტური

28 მარტი, ორშაბათი
ოდიში–კოლხეთი
მაჭახელა–ვიტ ჯორჯია
რუსთავი–ალგეთი
სამგურალი–ჭიათურა
სამეგრელო–ლიახვი
ბეთლემი–იმერეთი
სქური–მერცხალი
ბორჯომი–მეშახტე
ჩხერიმელა–გაგრა

26 ტური

4 აპრილი, ორშაბათი
კოლხეთი–ჩხერიმელა
გაგრა–ბორჯომი
მეშახტე–სქური
მერცხალი–ბეთლემი
იმერეთი–სამეგრელო
ლიახვი–სამგურალი
ჭიათურა–რუსთავი
ალგეთი–მაჭახელა
ვიტ ჯორჯია–ოდიში

27 ტური

8 აპრილი, პარასკევი
ვიტ-ჯორჯია–კოლხეთი
ოდიში–ალგეთი
მაჭახელა–ჭიათურა
რუსთავი–ლიახვი
სამგურალი–იმერეთი
სამეგრელო–მერცხალი
ბეთლემი–მეშახტე
სქური–გაგრა
ბორჯომი–ჩხერიმელა

28 ტური

12 აპრილი, სამშაბათი
კოლხეთი–ბორჯომი
ჩხერიმელა–სქური
გაგრა–ბეთლემი
მეშახტე–სამეგრელო
მერცხალი–სამგურალი
იმერეთი–რუსთავი
ლიახვი–მაჭახელა
ჭიათურა–ოდიში
ალგეთი–ვიტ ჯორჯია

29 ტური

16 აპრილი, შაბათი
ალგეთი–კოლხეთი
ვიტ ჯორჯია–ჭიათურა
ოდიში–ლიახვი
მაჭახელა–იმერეთი
სამგურალი–მეშახტე
სამეგრელო–გაგრა
ბეთლემი–ჩხერიმელა
სქური–ბორჯომი
რუსთავი–მერცხალი

20 აპრილი, ოთხშაბათი
დ. ყიფიანის სახელობის თასის 1/2 ფინალი

30 ტური

24 აპრილი კვირა
კოლხეთი–სქური
ბორჯომი–ბეთლემი
ჩხერიმელა–სამეგრელო
გაგრა–სამგურალი
მეშახტე–რუსთავი
მერცხალი–მაჭახელა
იმერეთი–ოდიში
ლიახვი–ვიტ ჯორჯია
ჭიათურა–ალგეთი

31 ტური

28 აპრილი, ხუთშაბათი
ჭიათურა–კოლხეთი
ალგეთი–ლიახვი
ვიტ ჯორჯია–იმერეთი
მაჭახელა–მეშახტე
ჩხერიმელა–სამგურალი
სამეგრელო–ბორჯომი
ბეთლემი–სქური

30 აპრილი, შაბათი
ოდიში–მერცხალი
რუსთავი–გაგრა

5 მაისი, ხუთშაბათი
დ. ყიფიანის სახ. თასის 1/2 ფინალი
განმეორებითი მატჩები

32 ტური

10 მაისი, სამშაბათი
კოლხეთი–ბეთლემი
სქური–სამეგრელო
ბორჯომი–სამგურალი
ჩხერიმელა–რუსთავი
გაგრა–მაჭახელა
მეშახტე–ოდიში
მერცხალი–ვიტ ჯორჯია
იმერეთი–ალგეთი
ლიახვი–ჭიათურა

33 ტური

16 მაისი, ორშაბათი
ლიახვი–კოლხეთი
ჭიათურა-იმერეთი
ალგეთი–მერცხალი
ვიტ ჯორჯია–მეშახტე
ოდიში–გაგრა
მაჭახელა–ჩხერიმელა
რუსთავი–ბორჯომი
სამგურალი–სქური
სამეგრელო–ბეთლემი

34 ტური

21 მაისი, შაბათი
კოლხეთი–სამეგრელო
ბეთლემი–სამგურალი
სქური–რუსთავი
ბორჯომი–მაჭახელა
ჩხერიმელა–ოდიში
გაგრა–ვიტ ჯორჯია
მეშახტე–ალგეთი
მერცხალი–ჭიათურა
იმერეთი–ლიახვი

C ჰეპატიტი–ქრონიკულად მიმდინარე პროგრესირებადი დაავადება

SOS C ჰეპატიტი!

C ჰეპატიტი ღვიძლის ქრონიკული დაავადებების (ქრონიკული ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი) განვითარების ერთ-ერთი ხშირი მიზეზია.

გამომწვევი მიზეზები და გადაცემის გზები

C ჰეპატიტს იწვევს რნმ ვირუსი, რომელიც უპირატესად ღვიძლს აზიანებს. ბუნებრივი მიმდინარეობის დროს დაავადება (20-30%) 6 თვის შემდეგ თვითგამოჯანმრთელებით მთავრდება, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ქრონიკულ ხასიათს იძენს.

ვირუსს ახასიათებს ცვალებადობა, მიეკუთვნება ნელა პროგრესირებად ვირუსთა რიცხვს. გამოვლენილია მისი ექვსი გენეტიკური ვარიანტი.

ინფექციის წყაროს წარმოადგენს მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანი. ვირუსი გადაეცემა პარენტარული გზით, ანუ სისხლითა და სისხლის პროდუქტებით, ზოგჯერ სქესობრივი გზითაც.

ადამიანი ინფიცირდება:

- ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტისას;
- საერთო სამართებლის, სისხლით დაბინძურებული ბამბის გამოყენებისას;
- სხეულის სხვადასხვა ნაწილში სამკაულის ჩამაგრების, ე.წ.. პირსინგის, დროს;
- სისხლმდენი ღრძილების მქონე ადამიანის კბილის ჯაგრისის ხმარებისას;
- სხვა ადიამიანის მიერ კბენის დროს;
- დაბინძურებული სააბაზანო აქსესუარების ხმარებისას;
- სქესობრივი კონტაქტისას, რომელსაც თან სდევს სისხლდენა.

ვირუსის სქესობრივი გზით გადაცემა ძალიან იშვიათია (1-3%), ძირითადად, ჰომოსექსუალისტებში (სწორი ნაწლავის ტრავმირების გამო). შედარებით მაღალია C ვირუსით ინფიცირების სიხშირე მრავალ პარტნიორთან ურთიერთობის შემთხვევაში.

C ჰეპატისით გადაცემის გზებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშრად ავადდებიან:

- ინტრავენური ნარკომანები და მათი სქესობრივი პარტნიორები;
- შეუმოწმებელი სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმის შემთხვევაში;
- ცუდად გასტერილებული სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტებით მანიპულაციების დროს;
- აკუპუნქტურის დროს;
- გაუსტერილებელი ინსტრუმენტებით კოსმეტოლოგიური მანიპულაციების შემთხვევაში (პედიკიური, მანიკური, ტატუირება და სხვ.);
- სამედიცინო პერსონალი – ანუ იგულისხმება ყველა ის შემთხვევა, როდესაც ვირუსით დაბინძურებული სისხლი ერევა მეორე ადამიანის სისხლს.
- C ჰეპატიტით დაავადების რისკი მაღალია არა მარტო ინტრავენური ნარკომანიის დროს არამედ კოკაინის შესუნთქვისას. კოკაინი ძლიერ აღიზიანებს ცხვირის ლორწოვან გარსს და ხშირად იწვევს სისხლდენას. ასეთი პირის მიერ ნახმარ შესასუნთქ ტუბს კი ვირუსი მეორე ადამიანს ცხვირის ლორწოვანსა და, შესაბამისად, სისხლში გადააქვს.

სისხლის თვალით უხილავ რაოდენობას შეიძლება შეიცავდეს ორგანიზმში არსებული სითხეებიც: ნერწყვი, ცრემლი, განავალი, შარდი, სპერმა. ამიტომ სრული უსაფრთხოებისთვის, სასურველია სიფრთხილე C ჰეპატიტით დაავადებულ ადამიანებთან ურთიერთობისას.

C ჰეპატიტის გავრცელება მსოფლიოში 1999 წელს.

თუ ადამიანი C ვირუსით დაინფცირებულის კბილის ჯაგრისს ან პირის საპარსს მოიხმარს, შესაძლებელია ვირუსით დასნებოვანება, რადგან ამ ნივთებზე სისხლის ნაწილაკების არსებობის ალბათობა დიდია.

C ჰეპატიტის გამომწვევი პლაცენტალურ



ბარიერს ვერ გადის, დედისგან ბავშვისთვის დაავადების გადაცემის შანსი მცირეა. აქედან გამომდიანრე, C ვირუსით ინფიცირებულ დედისთვის ორსულობა უკუნაჩვენები არ არის. ვირუსის გადაცემის ალბათობაზე არც ის ახდენს გავლენას, თუ როგორ იმშობიარებს ქალი–საკეისრო კვეთით თუ ბუნებრივი გზით. ვირუსი არ გადადის ძუძუთი კვების დროს.

C ჰეპატიტს არ იწვევს კოლოს ნაკბენი, რადგან მწერის სხეულში ვირუსის ძალზე უმნიშვნელო რაოდენობა ეტევა; არ გადაეცემა ხველებით, დაცემინებით, ჭურჭლით, საკვებითა და წყლით. დაავადება არ გადადის საერთო პირსახოცით, კოცნით.

კლინიკური სურათი

C ჰეპატიტის საინკუბაციო პერიოდი (ინფიცირებიდან დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენამდე) უხშირესად 20-80 დღეა. C ჰეპატიტს ახასიათებს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული მიმდინარეობა. ვირუსით შესაძლოა ნებისმიერი ასაკის ადამიანი დაინფიცირდეს.

მწვავე C ჰეპატიტის დროს კლინიკური სიმპტომები იშვიათად (10-20%) ვლინდება. ამ დროს აღინიშნება საერთო სისუსტე, დისკომფორტი მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში. ღვიძლის ფუნქციათა მრავალფეროვნების გამო მისი ქსოვილის ანთება, ანუ ჰეპატიტი, შეიძლება გამოვლინდეს სიმპტომთა ფართო სპექტრით; ესენია:

- კანისა და ლორწოვანი გარსის გაყვითლება;
- დაღლილობის შეგრძნება;
- ცხელება და ოფლიანობა;
- გულისრევა, ზოგჯერ ღებინება;
- ტკივილი მუცლის არეში;
- უმადობა, ცხიმიანი საკვების შეძულება;
- ქავილი;
- წონაში დაკლება;
- სისხლჩაქცევები;
- გონების დაბინდვა, კონცენტრაციის უნარის დაქვეითება;
- ართრიტები (სახსრების ანთება);
- არასრულფასოვანი ძილი.

აღნიშნული ჩივილები ზოგადად ღვიძლის დაავადებებს ახასიათებს. C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა და დადასტურება კი ლაბორატორიული მონაცემებით ხდება.

მწვავე C ჰეპატიტმა შესაძლებელია მრკულალობის გარეშეც უკვალოდ გაიაროს, მაგრამ უფრო ხშირად (60-80%) ის ქრონიკულ ფორმაში გადადის (თუ პროცესი 6 თვეზე მეტხანს გრძელდება).

C ჰეპატიტი შესაძლოა სრულიად უსიმპტომოდ, ან ძნელად შესამჩნევი ნიშნებითაც მიმდინარეობდეს. რაც უფრო ხანდაზმული C ვირუსით დაინფიცირებულია ადამიანი, დაავადება მით უფრო მძმედ მიმდინარეობს და მკურნალობაც ნაკლებად ეფექტურია.

C ჰეპატიტის სიმპტომები სუსტად ვლინდება ახალშობილებსა და ბავშვებში.

დიაგნოსტიკა

უსიმპტომო მიმდინარეობის დროს დაავადების გამოვლენის ერთადერთი საშუალებაა სისხლის სერილოგიური ანალიზი. დაავადების დიაგნოსტიკა სისხლის შრატში C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენით იწყება. მწვავე C ჰეპატიტის დროს პირველი 2-3 თვის განმავლობაში ანტისხეულების აღმოჩენა შეიძლება ვერც კი მოხერხდეს. ამასთანავე, ანტისხეულების არსებობა მხოლოდ რნმ ვირუსით ადამიანის ოდესღაც ინფიცირებას ადასტურებს. დაავადების არსებობასა და მიმდინარეობაზე სისხლის შრატში უშუალოდ ვირუსის აღმოჩენა მიუთითებს.

C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების შემცველობას განსაზღვრავენ იმუნოფერმენტული ანალიზით. შემდეგ კეთდება სპეციალური -ანალიზი (პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქცია - PCR), რომლის დადებითი შედეგიც ადასტურებს დიაგნოზს.

მკურნალობა

მწვავე ჰეპატიტი C ავადმყოფთა 20-40%-თვის მკურნალობის გარეშე, სპონტანური გამოჯანმრთელებით სრულდება. ვირუსის საწინააღმდეგო მკურნალობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 80%-ს აღემატება. C ჰეპატიტის მკურნალობა საკმაოდ ხანგრძლივი (24-28 კვირა) და ძვირად ღირებული პროცესია.

მწვავე ქრონიკული C ჰეპატიტის დროს რაიმე სპეციფიკური დიეტოთერაპია საჭირო არ არის. საკმარისია ალკოჰოლის გამორიცხვა, ასევე სასურველია ჭარბი წონის კორექცია ციროზით გართულების შემთხვევაში კი დიეტის დაცვა აუცილებელია.

* * *

2015 წლის 10 და 11 დეკემბერს ხეთის და სავიჯაოს საექიმო ამბულატორიებში ჩატარდა „C“ ჰეპატიტზე ჩვენი მოსახლეობის სკრინინგული კვლევები, რომელიც ორგანიზებული იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მიერ. 2016 წელს „C“ ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევები დაგეგმილია ხობის მუნიციპალიტეტის 2 სოფელში თორსასა და ქვემო ქვალონში. ყველა გამოვლენილი ავადმყოფისთვის მკურნალობა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არის უფასო.

სულთათანა

ჯაჯუ (ჯანგირი) შუშანია

მოულოდნელად და უცნაურად შემოვიდა გაზაფხული შენს ქალაქში, ჯერ ისევ თოვლიანი ზამთრის დღეების გაგრძელებას ველოდით... არადა უჩუმრად მოლოდინის გარეშე მოვიდა თებერვალი, რომელსაც ყოველთვის სიხარულით ხვდებოდი, რადგან ახლობელ ადამიანებთან და ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნავდი შენი დაბადების დღეს. გიყვარდა თებერვლის დადგომა, გაზაფხულის მზის სითბოთი ამღერებული დედაბუნება, ხობის ათასფერად მოჩითული მიწა და უღრუბლო მზიანი დღეები.

ამ წლის 10 თებერვალს, 80 წელი შეგისრულდა, მაგრამ ძალიან ახალგაზრდამ დატოვე სააქაო... ბოლო ამოსუნთქვამდე ზიდე კაცურ-კაცობის მძიმე ჯვარი. შენეული სიყვარულით გიყვარდა მშობლიური კუთხე, შენი ქალაქი, შეგეძლო ფეხზე დადგომოდი ქვეყნის სატკივარს და გეთქვა შენი სიტყვა, რომელსაც წონა ნამდვილად ჰქონდა.

შენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე იყავი და ყველას უყვარდი, როგორც გულისხმიერი, პატიოსანი, ნიჭიერი ადამიანი. მომთხოვნი, მაგრამ არა დიქტატორი. ბოლოს ქალაქ ხობის მერად იმუშავე, სწორედ აქ გამოჩნდა შენი ჰუმანურობა–დახმარებოდი შეჭირვებულ ადამიანებს, გაგეზიარებინა მათი ტკივილები გადაგეწყვიტა მათთვის პრობლემები.

შენს მეგობრებს, ახლობლებს, თუნდაც იმათ, რომლებსაც ერთხელ მაინც შეხვედრიხარ, ახსოვთ შენი უზადო გარეგნობა, მომხიბლავი ღიმილი და საოცრად თბილი მზერა, სწორედ ამიტომაც შენ ხობის ერთ-ერთი კოლორიტი იყავი.

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალება ოჯახისთვის, შვილებისთვის, მეგობრებისთვის, რადგან ყველასთან მიმართებაში სისპეტაკე იყო შენი ბუნების თანაზიარი, ამაზეა ნათქვამი რა ახლოსაა დაბადება გარდაცვალებასთან, მაგრამ შენ მაინც მოასწარი ნათელი კვალის დატოვება.

შენს დაბადების დღეზე, შენს საფლავთან მოვიდნენ დიდი ოჯახის წარმომადგენლები, შვილები, შვილიშვილები, ახლობლები, მეგობრები–უბრალოდ ხობელები, კვლავ ათასფერი ყვავილებით მორთეს შენი საფლავი, ღმერთს შესთხოვეს უკვდავყოს შენი სული და ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს შემოქმედმა, იქ სადაც „მართალნი განისვენებენ“

მანანა შულაია.

ადამიანური ისტორიები

ბაღრი ლომაია

ჰურის ქურდები

(ვუძღვნი ჩემი ძმის, რეზო ლომაიას ხსოვნას)

ომის სუსხი მძვინვარებდა. შიშს, შიმშილსა და სიცივეს დაესადგურებინა ღარიბულ სახლში. უჭირდა ყველას, განსაკუთრებით კი ობლად დარჩენილებს, ამ სახლში სამი ობოლი იზრდებოდა, ისინი თორმეტი, ცხრა და შვიდი წლისანი იყვნენ. ამ ოჯახში არ ისმოდა წუწუნი–მშია დედი, მცივა დედი, რადგან მათ დიდი ხანია დედა არ ჰყავდათ, აქ ფიჩხის ალიც ხანდახან ბჟუტავდა. მათთან ხანდახან მხოლოდ გიჟი ქიონია გამოივლიდა, სამი დაღუპული შვილის უბედური დედა. ჩემი შვილები ხომ არ გინახავთო, ეკითხებოდა იგი გამვლელებს. ხანდახან, როცა გონს მოეგებოდა, ეს დავრდომილი ქალი ისე მოთქვამდა, ცასა და მიწას ძრავდა, მიწა იწვოდა მისი საცოდაობით, ეტყობა, ჩემი შვილები ცოცხლები არ არიან, ძუძუები მტკივა, რამდენი ხანია. მერე ისევ მეორდებოდა, ჩემი შვილები ხომ არ გინახავთო...

სამი ობოლიდან, ყველაზე პატარას, სიცხე ჰქონდა.შიოდა, დედას, რომლის სახე, არც ახსოვდა, უხმობდა ავადმყოფი. სიჩუმეა ქოხში და ამ სამარისებურ სიჩუმეში, „გავროში“ (ერთ-ერთი ძმის ზედმეტსახელი), უფროს ძმას მიმართავს, წამოდი პური მოვიპაროთ, არ შემიძლია უკვე შიმშილიო. შეთანხმდნენ ძმები, დაადგნენ შორ გზას პურსაცხობისკენ, ფეხშიშველები მიდიან თოვლში, ოღონდ პური იშოვონ და მიუტანონ ავადმყოფ ძმას. პირველი „გავროში“ მიუახლოვდა პურსაცხობს და მცხობელებს დაუწყო მიხმარება, მცხობელი ორ ცალ პურს გადმოუგდებს მას, რომელიც მან თავის ადგილას უნდა დადოს. მაგრამ გადმოუგდებს თუ არა მცხობელი პურს, ის აიტაცებს ამ პურს და გარბის. მცხობელიც გაეკიდება პურის ქურდებს... გარბის პატარა ქურდი, უბედური ბავშვი, პური გულზე აქვს მიხუტებული, ძალა ელევა, სუნთქვა ეკვრის... უცებ რაღაცამ ყელში მოუღიტინა, გადაადფურთხა–სისხლი, რაღა ახლა, ფიქრობს იგი და ესმის ძმის გამამხნევებელი ხმა, სისხლი გადაყლაპე და ღონე მოგემატებაო, ჯანდაბას იყოს ასე „თფუი, რა გემო ჰქონია საკუთარ სისხლს... ვერ უშველა, არ მოემატა ღონე, მცხობელმა ოჩოკოჩმა ფეხი დაუდო, წაიქცა, პური გაუვარდა ხელიდან, ხედავს მისმა ძაღლმა გაიტაცა ეს პური, გვერდზე მიიხედავს, ოჩოკოჩს ცალი ფეხი პურზე უდევს, მეორე ძმის შუბლზე, რა ქნას, მოაგონდა ძაღლები, დაუძახა და მიუქსია ოჩოკოჩს... ცოტა ხნის მერე თვალი გაახილა, რას ხედავს, ოჩოკოჩი არსად არ ჩანს, ხოლო საკუთარ ძაღლი პურის ახლოს წევს, გაიწია, ძლივს მისწვდა პურს, აიტაცა, ძალა მოემატა, გაიქცა (რა ძალა ჰქონია პურს), სუნთქვა გაეხსნა, ახლა ვერავინ დაეწევა... ჯაგნარიდან ძაღლი გამოძვრა, ღმერთო პურისთვის მხოლოდ ნაკბილარი შეუტოვებია, მირბის ბიჭი და ავადმყოფი, მშიერი ძმისთვის მიაქვს სიმწრით ნაშოვი პური, ამასობაში გავროშიც გამოჩნდა, ძმებმა ერთად შეაღეს სახლის კარი, პატარა იატაკზე წაქცეულიყო და დედას ეეჯერება, მომიტეხე, მჭადი მინდაო, დედა კი ჩონგურზე უკრავს და საოცრად მღერის... ძლივს გამოიყვანეს ძმებმა ბურანიდან ავადმყოფი ძმა, აგერ პური მოგიტანეთ და ჭამეო, პატარა ტირის, პური არ ვიცი რა არის, მჭადი მომიტანეთო, ჭამე ძმაო, ღონე მოგემატება, და მტრები ვერ მოგვერევიან, ხომ ხედავ, როგორ წაიღეს ბაბუას დანატოვარი ნივთები, მარჩენალი მსხალიც მოგვიჭრეს, უნდა გავიზარდოთ და დავიცვათ ოჯახი და ერთმანეთი... რა კარგი ყოფილა პური, ატიტინდა პატარა, თვალებში სითბო ჩაედვარა, თითქოს ძალაც მოემატა, დამშვიდდა, რა კარგი ყოფილა პური...

წკვარამი ღამეა, მთვარეც არაა ცაზე, რომ გაანათოს, მხოლოდ ავბედითად ყმუიან ძაღლები, ეს ყმუილი ძალიან ჰგავს მეგრელი ქალების მოთქმას ....

ძაღლური ცხოვრების სულიც ყმუოდა სადღაც...

მე დავბრუნდები!

ვუძღვნი ქალბატონ დარეჯან ერქვანიას და ბატონ ბეჟან ნადარაიას!

ღმერთს ვავედრემდი თარაშ ემუხვარს,
რომ გასცდენოდა ენგურის ტალღებს,
დღეს არამხუცებს სიცოცხვა ვერ ითქვამთ,
გადამაგდეს და ჯვარზე გამაკრეს.
შენ აჩხოისთან ემრბოდი რუსებს,
მარცხ სულს მარცხ გადემდი სალმუნს,
შთამომავლებმა გზები შემუსრეს,
მაინც გნახავენ ენგურზე გასულს.
გზაგასაყართან დავდგებით ერთად,
ან სამოთხე და ან ჯოჯოხეთი,
და ვიცი, მაშინ, შენ მოხვალ ჩემთან,
როცა სამსჯავროს მოგვიწყობს ღმერთი,
უამადურომა ცოდვაა დიდი.
მე ჩემი მიწის ცვარი გაპკურე,
დღეს ოდამადეს გავცურებ რიდით,
ნუთუ ეს შენგან დავიმსახურე?
ო, ღმერთო ერთო, ნუ განსჯი იმათ,
მოეგებიან ალმათ გონს სადღაც.
დაუმრუნდებათ ნდომა ჩვენს მიმართ
და გავილაღებთ ჩვენც ენგურს გაღმა.

ვიცი ოცნებით ვეღარ მოგწვდები.
შენ ჩემი ცოდვის ხარ საზღაური.
მე იმ უღმერთო ღმერთს ვევედრები
რომ დამიმრუნოს ის სასწაული.
მე არამხუცის ვიყავი მორდუ,
თარაშ ემუხვარს გულში ვიკრავდი,
დღეს კი ჩვენს შორის ენგური მოჰქუხს
ო, რამდენ რამეს გულში ვიკლავდი.
გზა ცაბრისაკენ არს ერთადერთი,
უანაზღაური ზემოთ დაგვყურებს,
სანამ იქ, ზეცით განგსჯიდეს ღმერთი,
შენ კი მანამდე ცრემლად დამწურე.
თარაშ ემუხვარ ვერ გასცდა ენგურს,
მე კი გავალ და იქ დავმკვიდრებემი,
წმინდა გიორგი მიმოძებს მეგზურს,
მე დავმრუნდებემი, მე დავმრუნდებემი!
შემოგვბარცვია ქართველთ ამჯარი,
ვიღაცა ფეხქვეშ უღვთოდ განრთხმული,
დიდგორის ველზე ყალყზე დამდგარი,
დგას მეფეთ მეფე ჯვარზე გაკრული!

მოგონება

ქეთევან შელეგიას!



ღირსეულ ქალბატონს ქეთევან შელეგიას!

როდესაც ადამიანს გინდა მიულოცო იუბილე, უნებურად თვალწინ ამოგიტივტივდება მისი განვლილი ცხოვრება და მოღვაწეობა. აფასებ მის ქმედებებს და უკვირდები–როგორ განვლო მან თავისი შეგნებული წლები. ამ მხრივ ქალბატონ ქეთევან შელეგია-ვარდიას ნამდვილად აქვს საამაყო–არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ნიჭის მქონე მასწავლებელი, მასწავლებელთა მასწავლებელი–რომლის რეკომენდაციები ყოველთვის უკეთესობისკენ გიბიძგებდა, არ ვიცი რამდენჯერ ვიხმარო სიტყვები „კარგი“ და „არაჩვეულებრივი“, მაგრამ ასეა–იგი თავისი შვილებით, შვილიშვილიშვილებით, ახლობლებით...

ვულოცავ ქალბატონ ქეთოს 88 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანისა და გონების სიმრთელეს, კიდევ მრავალი წლის იუბილე მოგველოცოს ჭარმაგო ქალბატონო, თქვენს მონაგართან ერთად. იმედია 100 წლის იუბილეზე გეახლები და პირადად მოგილოცავ.

მანანა შულაია.

განცხადება

29.03.2016 წლის 15 საათზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: 580. ხობი, ცოტნე დადიანის №189) გაიმართება შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ „№5 სარეზერვუარო პარკიდან ბენზინის, ნაფტას, დიზელის საწვავის, საავიაციო ნავთის და ნახშირწყალბადების კონდენსატის მიღების, შენახვისა და გადატვირთვის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის“ გ.ზ.შ.-ს საჯარო განხილვა.

დადგენილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს: ნათელი ნავთობპროდუქტების და აირის კონდენსატის მიღება და გადატვირთვა საზღვაო ტრანსპორტში. ასევე საავიაციო ნავთის და ბენზინის გადმოტვირთვა საზღვაო ტრანსპორტიდან №5 სარეზერვუარო პარკში შემდგომი გადატვირთვით სარკინიგზო ტრანსპორტში. ასევე ბენზინის ჩამოსხმა ავტოცისტერნებში.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ:

ა) სოფელ ყულევში შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალის“ ოფისში.

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ხობი, ცოტნე დადიანის №189.

გ) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტში;

საზოგადოების მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი:

ხობის გამგეობის ეკონომიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლამზირა თოდუა.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.